რუსთავი 2
საამაუწყებლო კომპანია
საქართველო, თბილისი
სანდრო ეულის 5 ³
ტელ.: (995 32) 220-11-11, (995 32) 231-35-35
ფაქსი: (995 32) 253-69-11
E-mail: tv@rustavi2.com

№--/-0872-14

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"- ის თვითრეგულირების ორგანოს -„კომისიის" გადაწყვეტილება

თბილისი

29 მაისი 2014

კომისიის შემადგენლობა:
დირექტორი - ნიკა გვარამია (კომისიის თავმჯდომარე)
საინფორმაციო სამსახურის უფროსი - გიორგი ლაფერაშვილი
იურისტი - დიმიტრი საძაგლიშვილი

დაინტერესებული პირები:
ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი"
(ს/კ 205265210; მის.: თბილისი, ტაშკენტის ქ.,N31 ბ.164)

ააიპ „მედიის განვითარების ფონდი"
(ს/კ 204553937; მის.: თბილისი, ყიფშიძის ქ.,
№9ბ, სადარბაზო 4, სართული 7)

ააიპ „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი"
(ს/კ 406099519; მის.: თბილისი, , ალ.
წულუკიძის I შეს., კორპ. №18, ბინა №5)

აღწერილობითი ნაწილი

2014 წლის 06 აპრილს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა გადაცემა პოსტკრიპტუმი, რომლის ერთ-ერთი სიუჟეტი ეხებოდა ბათუმში მუსლიმთა სალოცავის აშენების თემას. დაინტერესებული პირების აზრით, ხსენებულ სიუჟეტში ადგილი ჰქონდა ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას, არასწორ კონტექსტუალიზაციას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას.

დაინტერესებული პირების პოზიცია:

დაინტერესებული პირების აზრით ჟურნალისტი სიუჟეტის მეორე ნაწილში ავითარებს შეხედულებას, თითქოს ბათუმში მეჩეთის მშენებლობა საქართველოს მოქალაქე მუსლიმების

RUSTAVI2
BROADCASTING COMPANY
5², Sandro Euli, Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 220-11-11, (995 32) 231-35-35
Fax.: (995 32) 253-69-11
E-mail: tv@rustavi2.com

საჭიროება კი არ არის, არამედ მეზობელი სახელმწიფოს - თურქეთის მიერ თავსმოხვეული ვალდებულებაა. ამის საილუსტრაციოდ ჟურნალისტს, მთიანი აჭარის ერთ-ერთი სოფლის დაცარიელებული ჯუმა მოჰყავს („თურქული და ირანული ბათუმის ცენტრიდან ძირძველ ქართულ სოფლებში ავდივართ", „პარასკევია და მოლა ჯუმაში მარტო შედის"). ჟურნალისტის ეს ბმა დაუსაბუთებელია, რადგან ბათუმში სალოცავი სივრცის ნაკლებობას, მთიან აჭარაში ცარიელი სალოცავების არსებობა არანაირად არ აკომპენსირებს.

ამასთან, ჟურნალისტი მითითებულ სიუჟეტში აკეთებს დაუსაბუთებელ განზოგადებას - თითქოს „სოფლებში სადაც ისლამი უფრო მყარია, ვიდრე ქალაქში, სწყინთ, რომ ძველი უნიკალური სალოცავები ინგრევა, ახლის აშენება კი ქართველ მუსლიმებს მეზობელი თურქეთის ინტერესების გამო სურთ", აღნიშნული ეფუძნება არა ადგილობრივი მაცხოვრებლის სინქრონს, არამედ აკადემიური სფეროს წარმომადგენლის კომენტარს:

რამაზ სურმანიძე, ისტორიკოსი, პროფესორი: „რატომ უნდა მოითხოვოს მეზობელმა ქვეყანამ (თურქეთმა) ჩვენთან სალოცავის აშენება? თუ სამლოცველო ასაშენებელია, ხალხი არის აქა, საზოგადოებაა, თუ მათ სჭირდებათ, თვითონ ეს ხალხი ააშენებს და იქნება სამლოცველო".

ჟურნალისტი რესპონდენტის ამ მოსაზრებას გაუმართლებლად წარმოაჩენს სოფლის მოსახლეობის პოზიციად.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დაინტერესებული პირების მოსაზრებით სადავო სიუჟეტში, ჟურნალისტის მხრიდან ადგილი ჰქონდა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევას და პოსტკრიპტუმის რედაქციას მოუწოდებენ მომავალში მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ მსგავსი მგრძნობიარე თემების გაშუქებისას.

მაუწყებლის პოზიცია:

მაუწყებლის აზრით ჟურნალისტის ან გადაცემა პოსტკრიპტუმის რედაქციის მიზანი არ ყოფილა, სადავო სიუჟეტით მაყურებლის შეცდომაში შეყვანა ან უმცირესობათა შესახებ არასწორი განცხადებების გაკეთება, რისი დასტურიც არის მთლიანად სიუჟეტის დაბალანსებულობა და ჟურნალისტის მცდელობა გაავრცელოს ყველა დაინტერესებული პირის მოსაზრება. სიუჟეტის პირველ ნაწილში ჟურნალისტი სრულად ასახავს ბათუმის სალოცავში არსებულ ხალხმრავლობას და სალოცავი სივრცის ნაკლებობას. ამასთან იგი სადავო სიუჟეტში ყველა დაინტერესებულ მხარეს აძლევს საკუთარი შეხედულების გამოხატვის საშუალებას.

სადავო სიუჟეტში შესაძლოა არსებობდეს გარკვეული ხარვეზები, თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს მიჩნეული ჟურნალისტის მიკერძოებულ პოზიციად, რადგან სიუჟეტში გასული სადავო ფრაზები გაუფრთხილებლობის შედეგს წარმოადგენს.

მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივარში მითითებული გარემოებების გაანალიზების და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად კომისიამ დაასკვნა, რომ ჟურნალისტის ან გადაცემა პოსტკრიპტუმის რედაქციის მიზანს არ წარმოადგენდა მაყურებლის განზრახ შეცდომაში შეყვანა და სიუჟეტში გაჟღერებული სადავო ფრაზები გაუფრთხილებლობის შედეგია.

მიუხედავად განზრახვის არ არსებობისა, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაინტერესებულ პირთა მოთხოვნათა დაკმაყოფილება და ჟურნალისტისათვის/პოსტკრიპტუმის რედაქციისათვის შესაბამისი რეკომენდაციის მიცემა - მომავალში მსგავსი სენსიტიური თემების გაშუქებისას, სიუჯეტები მომზადებულ იქნას განსაკუთრებული სიფრთხილით.

კომისიამ იხელმძღვანელა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით

სარეზოლუციო ნაწილი

კომისიამ ადგილზე თათბირით ერთხმად გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“-ს, ააიპ „მედიის განვითარების ფონდი“-ს და ააიპ „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“-ს საჩივარი და პოსტკრიპტუმის რედაქციას მიეცეს რეკომენდაცია - განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს რელიგიურ უმცირესობათა საკითხებაზე სიუჟეტების მომზადებას.
2. გადაწვეტილება გამოქვეყნდეს რუსთავი 2-ის ვებ-გვერდზე და გაეგზავნოს დაინტერესებულ მხარეებს.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს პოსტკრიპტუმის რედაქციას.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 07 (შვიდი) დღის ვადაში, თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (საბჭო). საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5ა.

კომისიის წევრები:

ნიკა გვარამია (თავმჯდომარე):

გიორგი ლაფერაშვილი:

დიმიტრი საძაგლიშვილი:

საქართველოს საბაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ სუბ BROADCASTING COMPANY "RUSTAVI 2" LTD 211352016